

## ნანა გონჯილაშვილი, ნესტან სულავა

### მ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახის ინტერპრეტა- ციისათვის ძრისტიანულ ტრადიციაში<sup>1</sup>

წმ. მარიამ მაგდალინელის პიროვნების მიმართ მართლმა-  
დიდებლური და კათოლიკური ეკლესიები დიდი ხნის მან-  
ძილზე სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ,  
რისი ტრადიცია ამჟამადაც გრძელდება. ადრეულ შეა საუკუ-  
ნებში, ქრისტიანობის გაფრცელების პირველ ეტაპზე, ქრის-  
ტიანული რელიგია წმ. მარიამ მაგდალინელს მოციქულთა  
სწორ წმინდა მენელსაცხებლე დედად აღიარებდა. VI საუკუ-  
ნიდან მოყოლებული, მისადმი დამოკიდებულება შეიცვალა და  
ორგვარად გამოვლინდა: 1. ნაწილი მას მიიჩნევდა მრუშ დედა-  
კაცად, 2. ნაწილი მას იმ წმ. მარიამ მაგდალინელად მიიჩნევ-  
და, რომელიც სახარებებში არაერთგზისაა ნახსენები, რო-  
გორც იქსო ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევარი და მაცხოვრის  
აღდგომის პირველი მოწმე. ვუიქრობთ, რომ წმ. მარიამ მაგ-  
დალინელის სახის სწორი ინტერპრეტაციისათვის საჭიროა  
მეტი ფურადება იმ წყაროებს მიუქცეს, რომლებიც ქართულ  
და უცხო ენგზე საქმაოდ მრავლად მოიძებნება. წმ. მარიამ მაგდალინელისა და მემავი ქალის სახეები ერთმანეთისაგან  
მკვეთრად გარჩეულია როგორც თვით ევანგელიურ სწავლებებ-  
ში, ისე მათგან მომდინარე საღვთოსმეტყველო ლიტერატურის  
ყველა ჟანრის თხზულებებში: პაგიოგრაფიაში, ჰიმნოგრაფიაში,  
ჰომილეტიკაში, საერო მწერლობაში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სავსებით შესაძლებე-  
ლია სიტყვიერ კულტურაში წმ. მარიამ მაგდალინელისა და  
მემავი ქალის სახეთა აღრევის ქრონოლოგიური არეალისათ-  
ვის თვალის გადევნება. ამ ფაქტის აღნიშვნის აუცილებლობა  
იმან განაპირობა, რომ მათი ხატ-სახეები გვიანდელი ხანის,  
კერძოდ წინარენესანსისა და რენესანსის პერიოდის, კათოლი-  
კური ეკლესიების ფრესკებზე საკმაოდ აღრეულია. მეტიც, წმ.  
მარიამ მაგდალინელის სახე მონანიე ცოდვილ მემავ ქალადაა  
მიჩნეული. სწორედ ამიტომ მივიჩნიეთ საჭირო საკითხის დე-

<sup>1</sup> ეს არის ვრცელი ნაშრომის შემოკლებული ვერსია.

ტალური შესწავლა და განხილვა შესაბამისი წყაროების საფუძველზე.

უწინარეს ყოვლისა, დავიმოწმებთ წმ. მარიამ მაგდალინელის შესახებ ახალ აღთქმაში არსებულ ცნობებს. ევანგელიური მონათხრობით, წმ. მარიამ მაგდალინელი უფალმა შვიდი ეშმაკისგან განკურნა: „ხოლო აღ-რაღ-დგა განთიად პირველსა მას შაბათსა, ეზუნია პირველად მარიამს მაგდალინელსა, რომლისაგან განსრულ იყვნეს შვდნი ეშმაკი“ (მარკ. 16, 9); „და დედანი ვინმე, რომელი განკურნებულ იყვნეს სულთაგან არაწმიდათა და უძლეურებათა: მარიამ, რომელსა ერქუა მაგდალენელი, რომლისაგან შვდნი ეშმაკი გასრულ იყვნეს“ (ლუკ. 8, 2), რის შემდეგაც მარიამი ყველგან თან ახლდა მაცხოვარს (მარკ. 15, 40; ლუკ. 8, 3), ქრისტესთან ერთად გაიარა გოლგოთის გზა და საკუთარი თვალით იხილა ჯვარცმაც (მათ. 27, 56 და სხვ); ქრისტეს საფლაკს დადებასაც, დაფლვასაც ესწრებოდა (მათ. 27, 61 და სხვ.), ჯვარცმიდან მესამე დღეს, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს, ცისკარზე, მის აღლდამასთან საკუთარი თვალითა და ნელსაცხებლებით მივიდა (მათ. 28, 1; მარკ. 16, 1-8) და აღმდგარი მაცხოვარი პირველმა სწორედ მან იხილა, პირველმა ირწმუნა და პირველმა აუწყა ქრისტეს მოწაფებს მაცხოვრის სასწაულებრივი აღდგომა (იოან. 20, 11-18). გადაჭრით თქმა იმისა, მაცხოვარმა წმ. მარიამ მაგდალინელისაგან თუ რა ცოდვები განასხა, ზუსტი მონაცემების უქონლობის გამო შეუძლებელია.

კათოლიკური ეკლესიის ტრადიცია წმ. მარიამ მაგდალინელს დიდი ხნის მანძილზე აიგივებდა უსახელო მონანიე ცოდვილთან, რომელმაც სვიმეონ ფარისევლის სახლში იქსო ქრისტეს ფეხები ცრემლით დაულტო, შემდეგ თმით „წარხოცა“ და ბოლოს კი უფალს ფეხებზე ნელსაცხებელი სცხო (ლუკ. 7, 37-38), ასევე – ერთ უსახელო ქალთან, რომელმაც იქსოს სვიმეონ კეთორგნის სახლში, ბეთანიაში თავზე ნელსაცხებელი დაასხა (მათ. 26, 6-7, მათ. 14, 3-9), და მარიამთან, ლაზარესა და მართას დასთან (იოან. 12, 1-8). ამას ერთგოდა მრავალრიცხოვანი ლეგენდაც. მოგრიანებით, წმ. მარიამ მაგდალინელის ცხოვრებას დაემატა ზოგიერთი სიუჟეტი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული მონანიე ცოდვილისა და მარიამ მეგვიპტელის (V ს.), ცხოვრებიდან, რამაც წმ. მარიამ მაგდალინელის მებავ ქალად წარმოდგენას საფუძველი კიდევ უფრო მეტად გაუმჟარა.

ევანგელიურ თხრობაში იქსოს მირონცხების ეპიზოდში მონაწილე სხვადასხვა ქალის (ლუკას მიხედვით, ცოდვილი ქალი, ოთანეს მიხედვით – მარიამი ბეთანიიდან) გაიგივება წმ. მარიამ მაგდალინელთან საბოლოოდ რომის პაპის, წმ. გრიგოლ დიდის, „შემოდგომის ქადაგებაში“ აისახა 591 წელს, ხოლო სახარებებში წმ. მარიამ მაგდალინელისა და მარიამ ბეთანიელი საღუნიშნავი ცოდვა მრუშებად, პროსტიტუციად განიმარტა. მისი ამგვარი ინტერპრეტაცია აღორძინების ხანისა და მომდევნო პერიოდის მხატვრობაშიც დამკვიდრდა. წმ. მარიამ მაგდალინელის შესახებ კათოლიკურ წარმოდგენას (მის გაიგივებას ლაზარეს დასა და ლუკას სახარების მომნაიერ ცოდვილთან) იზიარებდნენ კათოლიკური ეკლესიის მამები: წმ. ნეტარი ავგუსტინე, წმ. იპოლიტე რომაელი, ნეტარი იერონიმე, ისიდორე სევილიელი, ანსელმ კენტერბერიელი, რომის პაპი გრიგოლ დიდი და სხვ.

წმ. მარიამ მაგდალინელის სახის შესახებ გნოსტიკურ-ოკულტურ ლიტერატურაში მესამე, პირველი ორისაგან განსხვავებული წარმოდგენაც წარმოიშვა და ჩამოყალიბდა. ამ გააზრებით ქრისტესა და წმ. მარიამ მაგდალინელის ურთიერთობა როგორც „ლერთობან ქორწინებითი“ ურთიერთობა განიხილებოდა. სწორედ ეს იდეა იყო გამოოქმედი გნოსტიკურ და პოსტგნოსტიკურ ტექსტებში („მარიამის სახარება“, „ფილიპეს სახარება“ და სხვ), რომლებშიც წმ. მარიამ მაგდალინელი ქრისტეს შესახებ „ჰეშმარიტი ცოდნის“ მატარებელს, მისი მემკვიდრის დედას წარმოადგენდა, მემკვიდრისას, რომელმაც წმინდა გრალის უდიდესი მცველების რჩეულ დინასტიას დაუდო სათავე (თანამედროვე მსოფლიოში ამ ოკულტური ტრადიციის პოპულარიზაციას ეწევიან, რის მაგალითიცაა დენ ბრაუნის გახმაურებული წიგნი „დავინჩის კოდი“). ამდენად, ოკულტური წარმოდგენებით წმ. მარიამ მაგდალინელის სახეში მიწიქრი ქალისა (რომელსაც ვნებიანი სიყვარულით უყვარს „დმერთი როგორც კაცი“) და წარმართული ქალდმერთის თვისებებია თავმოყრილი და შეზავებული.

წმ. მარიამ მაგდალინელის შესახებ არსებული მრავალ-რიცხოვანი ლეგენდური მასალა მსოფლიო ხელოვნებაში მდიდრად და აქტუალურად აისახა. მომნაიერ ცოდვილის რომან-ტიკულმა ელფერმა დასავლეთის ლიტერატურისა და ხელოვნების ტრადიციაში წმ. მარიამ მაგდალინელის სახე ჰალზე პოპულარული გახადა, რაც როგორც ლიტერატურაში, ასევე –

ფერწერასა და სკულპტურაში აისახა (ეტიენ შევალიეს, კარავაჯოს, ტიციანის, პერუჯინოს, დონატელოსა და სხვათა ქმნილებებში). დასავლეთის ხელოვნებაში ქრისტეს ფეხთბანვისა და უდაბნოში მარიამის მონანიების სიუკეტები იყო გავრცელებული. წმინდანის გამოსახულების უცილობელ ატრიბუტებს წარმოადგენდა გრძელი ომები, ხელსაცხებლის ჭურჭელი და თავის ქალა, როგორც ყოველივე მიწიერის ხერწნადობის სიმბოლო.

კათოლიკურმა ეკლესიამ XX საუკუნეში სცადა, გაესწორებინა აღნიშნული შეცდომა და 1969 წლის რეფორმის შემდეგ Novus Ordo-ს კალენდარში წმ. მარიამ მაგდალინელი „მონანიე მრუშ დედაკაცად“ უქმე აღარაა წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, ხალხის ცნობიერებაში საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციული შეხედულება (წმ. მარიამ მაგდალინელი – მონანიე მრუში ქალი), რომელიც ხელოვნების მრავალი ნაწარმოების ზეგავლენითაც იყო განმტკიცებული, ძირითადად, უცვლელი დარჩა. ოქსფორდის ლექსიკონშიც კი სიტყვა „მაგდალინას“ „მონანიე მრუშის“ შინაარსი აქვს. საინტერესო ისაა, რომ კათოლიკური ეკლესიის მიერ წმ. მარიამ მაგდალინელის პიროვნების შეხდალული სახელი გავრცელდა მართლმადიდებლურ სამყაროშიც, მაგ., პოეზიაში – მ. ცვემტავა, ბ. პასტერნაკი, საკვირველია, მაგრამ ფაქტია, სასულიერო პირთა შორისაც.

თანამედროვე ქართულ ცნობიერებაშიც, უმეტესწილად, წმ. მარიამ მაგდალინელი მებავ ქალადაა მიჩნეული. დღესაც კი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ამბობიდან ზოგიერთი მოძღვრის ქადაგებებში ხშირად წმ. მარიამ მაგდალინელი მოიხსენიება მრუშ ქალად, რომელსაც მიეტევა მძიმე ცოდვები. „წმინდანთა ცხოვრების“ III ტომშიც (წმინდანთა... 2001) წმ. მარიამ მაგდალინელის ცოდვათა შორის მრუშებაა აღნიშნული და ზოგჯერ ინტერნეტ სივრცის ქართულ საიტებზეც წმ. მარიამ მაგდალინელის სახელთან მრუშება იხსენიება. ჩვენს გაკვირვებას იწვევს კათოლიკეთა მიერ დაშვებული და დამკვიდრებული ზემოადნიშნული შეცდომის ჩვენს სინამდვილეში გავრცელება, რადგან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ქრისტიანული კულტურა ამ საკითხში ოდითგანვე მართლმადიდებელი კათოლიკე (საყოველთაო) ეკლესიის წეს-კანონებსა და ტრადიციებს მიჰყვება, რასაც მოწმობს ქართულ ორიგინალურ და ნათარგმნ ეგზეგიტიკურ თხზულებებში, ქადაგებებსა და საგალობლებში წმ.

მარიამ მაგდალინელის სახელის ევანგელიური თხოობის კვალობაზე წარმოდგენა-განსახოვნება, რაც, კათოლიკებთა შეხედულების საპირისპიროდ, სრულიად დაცლილია ამორალობისაგან და წმ. მარიამ მაგდალინელის პიროვნება სახარების არც ერთ სხვა ქალთან გაიგივებული არაა.

წმ. მარიამ მაგდალინელი წარმოშობით გალილეის ქალაქ მაგდალადან იყო, რომელიც კაპერნაუმთან ახლოს მდებარეობდა. აქედან წარმოდგა მისი ზედწოდებაც. წმ. მარიამი მაცხოვრის მიერ შვიდი ეშმაკეულისაგან განკურნების შემდეგ მისი ამგვაწური ცხოვრების პერიოდში, რამდენიმე სხვა კუთილ-შობილ ქალთან ერთად, მუდმივად მაცხოვარს ახლდა თან და, თავისი შესაძლებლობისამებრ, მათთან ერთად ემსახურებოდა. ევანგელიური მონათხოვბით, წმ. მარიამ მაგდალინელი მაცხოვრის ჯვარცმას ესწრებოდა, ხოლო როდესაც კვირას, ცისკარზე, მაცხოვრის საფლავთან მისულ წმ. მარიამ მაგდალინელს იქსოს საფლავი ცარიელი დაუხვდა, ამის შესახებ მსწრაფლ ამცნო მოწაფებს და ტირილით ისევ საფლავთან დაბრუნდა; ტირილის დროს საფლავს ჩახედა და იქ ორი ანგელოზი დაინახა, რომელთაც მას ჰყითხეს, თუ რაისათვის ტიროდა იგი. სწორედ ამ დროს გამოეცხადა მაცხოვარი წმ. მარიამ მაგდალინელს და თავისი ადდგომის შესახებ ამცნო. კომენტატორები განმარტავენ, რომ წმ. მარიამ მაგდალინელი სწორედ ტირილის გამო დაჯილდოვდა და პირველს მას ამიტომაც გამოეცხადა მკვდრეთით აღმდგარი იქსო ქრისტე, პირველს მას ეჩვენა მაცხოვარი. მაცხოვრის სიტყვების თანახმად, წმ. მარიამს ხვდა წილად მაცხოვრის მოწაფეებთან მისვლა და მათთვის ადდგომის საიდუმლოს უწყება.

წმ. იოანე თქროპირი თავის ეგზეგებიერ თხზულებებში „თარგმანებად მათეს სახარებისაა“ და „თარგმანებად იოანეს სახარებისაა“ განმარტავს მაცხოვრის ხილვას წმ. მარიამ მაგდალინელის მიერ. სახარებისეული ეს ეპიზოდები უფრო დეტალურად წმ. იოანე თქროპირმა განიხილა თხზულებაში „თარგმანებად მათეს სახარებისაა“, რომელშიც ოთხივე სახარების შესატყვისი მუხლები სიმბოლური თვალსაზრისითაა გაანალიზებული, ვიდრე მეორე თხზულებაში „თარგმანებად იოანეს სახარებისაა“; მათეს სახარების 27-ე თავის 61-ე მუხლის განმარტება ასეთია: „ამათიცა გული მტურვალე იყო და უშიშ. ამისთვისცა განუშორებელ იყვნეს საფლავისაგან და ეძიებდეს ქამსა მიღებად ნელსაცხებელისა და ცხებად გუამსა

უფლისასა, არამედ ვერ ეძღო, რამეთუ ჯერეთ მცველნი დგეს მუნ და ერი მრავალი იქცეოდა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1998: 459); წმ. იოანე ოქროპირი წმ. მარიამ მაგდალინელისათვის უწყებას მაცხოვრის აღდგომის შესახებ სიმბოლურად აღი-ქვამს და სხინს, რადგან ანგელოზისგან სწორედ წმ. მარიამ მაგდალინელს ეუწყა პირველს ეს სასიხარულო ამბავი. დვოისმეტყველმა მამამ მაცხოვრის ჯვარცმითა და აღდგომით დაუკავშირა იგი ევას სულიერ განახლებას: „დასჯილი იგი ევა განმართლებულ არს, ექსორია ქმნილი ადამ მოწოდებულ არს, წყვევად იგი განქარვებულ არს, სიკუდილი ძლეულ არს, ეშმაკი დაცემულ არს, მსახურნი მისნი სირცხვლეულ არიან, მბრძოლნი ძლეულ არიან, ჰურიანი მგლოარე არიან, ჯუარი ჩემი ბრწყინავს...“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1998: 471); წმ. მარიამ მაგდალინელისა და შენელსაცხებლე დედების მაცხოვრის საფლავთან მისვლის ღროის შესახებ სახარებებში განსხვა-ვებული ვერსიებია წარმოდგენილი. წმ. იოანე ოქროპირმა ამ ეპიზოდების განხილვისას თითოეულის რაობა და არსი განსა-ზღვრა, თითოეულ მათგანს კომენტარი გაუკეთა: „რამეთუ არა ერთგზის ოდენ მოვიდეს, არამედ მრავალგზის, და თითო-ეულმა მახარებელმან სხუად და სხუად მოსლვად მათი ადწერა და გამოაცხადა; რამეთუ ვითარცა ვთქუ, მენელსაცხებლენი იგი რავდენგზისცა მოვიდეს საფლავად, ესმა ანგელოზთაგან, ვითარმედ: „აღდგა ქრისტე, არა არს აქა“; აღსანიშნავია, რომ არც ანგელოზს დაუსახელებია ზუსტად, თუ რომელ ჟამს აღდგა მაცხოვარი. მისივე სიტყვით, ეს ჟამი იცის „აღდგომილ-მან მხოლოდშობილმან ძემან დმრთისამან“. როდესაც მათეს სიტყვებს (28, 1) განმარტავს, წმ. იოანე ოქროპირი აღნიშნავს: „გუაუწყებს, ვითარმედ ანგელოზი გარდამოკდა ზეცით და გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა, და პოვა უფალი აღდგომილი, და მცველნი იგი შეაძრწუნნა, ხოლო დედათა ახარა აღდგომად და აუწყა, ვითარმედ პირველ ზეცით გარდამოსლვისა ანგელოზისა მის აღდგა უფალი საფლავისა მისგან დაბეჭდულისა, ვითარცა-იგი მოწაფეთაცა წარმოუდგა ბჭეთა ხშულთა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1998: 473). უფლის აღდგომის ჟამს იქ არავინ იყო, მხოლოდ მისი აღდგომის უმაღ „მოვიდეს მარიამ მაგდანელი და სხუად იგი მარიამ საფლავად და იხილეს ზემოგვენებული იგი ანგელოზი მჯდო-მარე ლოდსა ზედა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1998: 474). „სხუად მარიამ“, წმ. იოანე ოქროპირის განმარტებით, ყოვლადწმიდა

დეთისმშობელია, ხოლო წმ. მარიამ მაგდალინელის შესახებ აღნიშნავს: „მარიამ მაგდალელი მივიდოდა რად წმიდისა დმრთისმშობელისა თანა, განკპრვებულ იყო კაცობრივითა გულისსიტყვთა, და ვითარცა პეტრე, გამოიყანა რად ანგელოზმან საპყრობილით და წარვლეს ბჭე ქალაქისად, მუნამდე ვერ იცოდა, თუ ჰემმარიტ არ ხილვად იგი, ეგრეთვე მაგდანელი პგონებდა თუ ნუუკუ ჩუჯენებად იყო საქმე იგი, შეორგულდა და კუალად მიიქცა საფლავად, „ერთსა მას შაბათსა განთიად, ვიდრე ბნელდა იყო“ (ი. 20, 1); და ამას მოხსლვასა იტყვს იოვანე“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1998: 473).

წმ. იოანე ოქროპირი შეეხო წმ. თომა მოციქულის ურწმუნობას და მაცხოვრის მიერ მისთვის შენდობას, ასევე, მსგავს ეპიზოდად მიიჩნია წმ. მარიამ მაგდალინელის გაკვირვება მაცხოვრის აღდგომის თაობაზე და აქაც აღნიშნა, რომ მასაც შეუნდო ღმერთმა: „ეგრეთვე სახედ მაგდანელსაცა შეუნდო განკპრვებისაგან შეორგულებად, რათა უმეტესითა გამოძიებითა მისითა უმეტესად გამოცხადნეს აღდგომისა იგი საბრველებად. ამით უკუკ ესევითარითა გულისსიტყვთა მოიქცა მაგდანელი საფლავად, და იხილა ლოდი იგი აღებული კარისა მისგან საფლავისა, ხოლო ანგელოზი არღარა იხილა მჯდომარე მას ზედა ვითარცა პირველ. მაშინ უმეტესად დაამტკიცა გულისსიტყუად თვესი და შეპრაცხა პირველი იგი ხილვად უცნებად“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1998: 473). მას ეგონა, რომ ებრაელებმა აიღეს მისი გვამი და წაიღეს. წმ. მარიამ მაგდალინელმა სწორედ ეს ამცნო პეტრესა და იოვანეს, რომლებმაც იხილეს ტილო და სუდარა, რის შემდეგაც ისინი რწმენით აღვსილნი წავიდნენ, ხოლო წმ. მარიამ მაგდალინელი „დაშთა ადგილობანს, საფლავსა მას თანა დიდებულსა, და ტიროდა, რამეთუ ჯერეთ იჭუებულ იყო აღდგომისათვს, განგებულებით, რათამცა თვესითა თუალითა იხილა უფალი“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1998: 473). ამის შემდეგ იხილა ორი ანგელოზი და მათი კითხვის შემდეგ უკვე ირწმუნა იქსოს აღდგომა: „გამოჩნდა უფალი. იხილეს ანგელოზთა მათ და მოწიწებით შეშიდეს. იხილა დედაკაცმან მან სახე იგი მოწიწებისა მათისაა და მიიქცა გარე ხილვად, თუ რაისათვს განკპრდეს იგინი, „და იხილა იქსუ გარე მდგომარე“ გარნა ანგელოზთა სხვთა სახითა – დიდებისათვათ ეჩუენა, და განაკპრვნა, ხოლო დედაკაცსა მას ესრეთ, რათა არა განცპრდეს“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1998: 473).

საინტერესოა ის განსხვავებები, რაც ოთხ კანონიკურ სახარებას შორის შეინიშნება და რაზეც წმ. იოანე ოქროპირმა ვრცელი კომენტარი გააკეთა. მათესთან წმ. მარიამ მაგდალინელს და სხვა მარიამს ვხვდებით; მარკოზთან წმ. მარიამ მაგდალინელის და სხვა მარიამს ვხვდებით; მარკოზთან წმ. მარიამ მაგდალინელის ერთად დასახელებულნი არიან იოპანა, მარიამი, სალომე; ლუკა მარიამთან ერთად მარიამ იაკობისსა, იოპანას და სხვებსაც ახსენებს; იოანე მახარებელი – მხოლოდ წმ. მარიამ მაგდალინელს. წმ. იოანე ოქროპირი ამას იმით ხსნის, რომ თითოეულმა მახარებელმა საფლავთან დედათა სხვადასხვა დროს მისვლა აღწერა, მენელსაცხებლე დედათა ვინაობა და რაოდენობაც ამიტომაა განსხვავებული. მენელსაცხებლე დედათა წვლილი წმ. იოანე ოქროპირის კომენტარებში იმ მხრივაც ჩანს, რომ მათ მდგდელთმთავრებსაც ამტკეს მაცხოვრის აღდგომის ამბავი და უსაყვედურეს მისი ჯვარცმა. თუმცა, მათ არ დაიჯერეს და გვამი მოპარულად მიიჩნიეს, რაზეც წმ. იოანე ოქროპირი მჭერი-მეტყველურად განაცხადებს: „შ, დიდ სიბრძე ჰურიათად! სამართლად იტყოდეს, ვითარმედ: იყოს უკუანასგნელი საცოური უძრეს პირველისა“ (მათე, 27, 64) (წმ. იოანე ოქროპირი, 1998: 473). მისი შემაჯამებელი სიტყვები ასეთია: „ჰეშმარიტად უძრესი პირველისა შეემთხვა მათ საცოური, რომელ ესე-ვითარსა მას განცხადებულსა სასწაულსა ზედა არა ინებეს მოქცევად სინაულად, არამედ ენება დაფარვად აღდგომისა უფლისად და შემზადებდეს საკიცხელთა სიტყუათა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1998: 473).

წმ. იოანე ოქროპირი იოანე დვთისმეტყველის//მახარებლის მიერ გადმოცემულ ეპიზოდესაც უკეთებს კომენტარს და წმ. მარიამ მაგდალინელის მიერ ცარიელი საფლავის ხილვას განმარტავს, მას სახისმეტყველებითი თვალსაზრისით აფასებს: „ერთსა მას შაბათსა, რომელ არს კკრიაკტ, მოვიდა იგი, ხოლო იქსუ ადგა, იდვა რად ლოდი ზედა საფლავსა, და ბეჭედი იყვნეს მას ზედა, და ვინაოთგან ჯერ-იყო, რათამცა სხუათაცა ყოველთა იხილეს იგი. შემდგომად აღდგომისა აღედო ლოდი იგი, რომლისათვის გარდაგდა რად შაბათი, მოვიდა მუნ მარიამ, რამეთუ ფრიადი მოსწრაფებად აქუნდა უფლისათვს, და იხილა რად აღებული ლოდი, მირბიოდა თხრიბად მოწაფეთა, რათამცა ცან, თუ სადა არს გუამი მისი. რამეთუ ამისთვის თქვა, ვითარმედ: „აღიღეს უფალი ჩემი საფლავისაგან და არა უწყი, სადა დადგეს იგი“ (იოანე, 20, 20-

21). ჰეკედაგა, რამეთუ არარად იცოდა მან ჯერეთ დამტკიცებულად აღდგომისათვის? რამეთუ პგონებდა იგი ცვალებასა სხეული ადგილად, ამისთვისცა წარვიდა და პრქუა მოწაფეთა...“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1993: 314). როდესაც მაცხოვარმა მტირალ წმ. მარიამ მაგდალინელს პირველს მიმართა, რატომ ტიროდა იგი ან ვის ეძიებდა, მან მისი ხმა ვერ შეიცნო, როგორც ჩანს, იმიტომ ვერ იცნო, რომ მთელი მისი უკრად-დება ცარიელი საფლავისაკენ იყო მიმართული, რომელშიც თავისი საყვარელი მასწავლებლის, მოძღვრის გვამი გაულებოდა და ვერ იპოვა, ხოლო ის, ვინც მას ამ სიტყვებით მიმართა, მევენახედ აღიქვა. მაგრამ როდესაც მისმა საყვარელმა მოძღვარმა მას სიყვარულით სახელდებით მიმართა: „მარიამ!“ წმ. მარიამ მაგდალინელმა მყისვე იცნო მოძღვრის ხმა და ერთდროულად შეიპყრო განცვიფრების გრძნობამ და კეთილი ამბის უწყებით გამოწვეულმა მაღლიერებამ, იგი მის ფეხებს მიეკალა და გახარებულმა შესძახა: „მოძღვარ!“ მაგრამ უფალმა იგი შეაჩერა, რათა არ შეხებოდა მას, რადგან იგი მამასთან ჯერ კიდევ არ იყო და უბრანა, მოწაფეებთან წასულიყო და მათვის იქსო ქრისტეს აღდგომა ემცნო. ასეთია ევანგელიური მონათხოვი და წმინდა მამათა განმარტება მაცხოვრის აღდგომის, მის საფლავთან მისული მენელ-საცხებლე დედების შესახებ, რომელთაგან წმ. მარიამ მაგდალინელია გამორჩეული.

წმ. მარიამ მაგდალინელის სახე ქართულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ხშირად გახვდება და იგი უმეტესად დატვირთულია პიპოდიგმური ფუნქციით. საგანგებო მსჯელობის საგანია „მოქცევად ქართლისაის“ სხვადასხვა რედაქტიაში წმ. ნინოს მიმართება წმ. მარიამ მაგდალინელთან, მენელსაცხებლე დედებთან და მასთან დაკავშირებული პრობლემაზე. იგი წნდება სვეტიცხოვლის აღმართვისა და ტაძრის აშენების ეპიზოდში. საკითხის კვლევისას სახისმეტყველებით ღირებულებას იძენსდეთის სახლის აღილის განსაზღვრის შესახებ მირიანის რჩევა წმ. ნინოსთვის, ეკლესია იქ ააგოს, „სადაც მეფეთა გონებად მტკიცე არს“ (ძეგლები, 1963/1964: 137).

როდესაც წმ. ნინო და თორმეტი დედა ეკლესიისთვის მოზადებული საფუძვლის აღგილას იმყოფებოდნენ, მაგრამ ცხოველი სვეტის აღმართვა გაჭირდა, წმ. ნინო გოდებდა და ცრემლებს ღვრიდა, – აღნიშნავს „მოქცევაის“ ავტორი, – და ამ ერთი ფრაზით მინიშნებულია მგლოვიარე ქალწულის სულიე-

რო მდგომარეობა, ახლადმოქცეულთა რწმენის შეურყეველობისათვის ზრუნვა. მოკვეთილ სვეტან დარჩენილ დედებს შეუდამისას ორი ხილვა მოკვლინათ: პირველი ხილვისას წარმოქცა არმაზ-ზადენის მთები, მტკვარმა „გარდამოჭდა“ და წაიღო ქალაქი, არაგვი კი ციხის ზემოთ „გარდამოჭდა“, საშინელი ხმა და გრძვინგა იყო. წმ. ნინომ შეშინებულ დედებს განუმარტა, რომ არაფერი შეცვლილა, რომ „მთანი პგიან და წყალნი იგი მუნვე დიან“ (ძეგლები, 1963/1964: 139), რომ არმაზ-ზადენის მთათა რღვევა ქართლში ურწმუნობის მთათა ნგრევას მოასწავებს. წმ. ნინოსა და ათორმეტ დედათა პირველ ხილვას მოჰყვა მეორე ხილვა – გათენებისას ლეწვისა და ყივილის ხმით შეიძრა მცხეთაში სპარსთა ლაშქარი, დალეწა ქალაქის სამივე კარი, სისხლითა და ცხედრებით „აღივსო ყოველი აღგილი“ (ძეგლები, 1963/1964: 140). წმ. ნინო უშიშრად წარდგა სპარსთა ლაშქრის წინაშე და ისინი ჩრდილოეთის მხარეს, კედარის მთებში გაგზავნა, რადგან „აქა მოვიდა იგი, რომელსა თქუენ ულტოდეთ“ (ძეგლები, 1963/1964: 140), იქაურიბას ჯვარი გადასწერა და ყოველივე გაქრა. გათენებისას ნათლით შემოსილი ჭაბუკი მოევლინათ, რომელმაც წმ. ნინოს სამი სიტყვა უთხრა, შემდეგ კი სვეტი ცად აღმადლდა.

ჩვენი აზრით, სამეფო ბაღში, „სამოთხეში“ სვეტის „ვერ აღმართების“ შემდგომ წმ. ნინოსა და ათორმეტ დედათა მაფ-გლოვანში დარჩენას სიმბოლური დატვირთვა აქვს. წმ. ნინო და ათორმეტი დედანი გარკვეულწილად ქრისტესა და 12 მოციქულის რემინისცენციას აღძრავენ, მით უფრო, რომ ხილვა-ზმანებები კაბადოკიელი ქალწულის მიერ დედათათვის იგავურად განიმარტება, ქრისტესაგან მოწაფეთათვის იგავის „გადმოთარგმანების“ მსგავსად. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დვითის სახლი 12 მოციქულის სახელზე შენდება. რ. სირაძის აზრით, „იქვე არის არაევანგელური, თუმცა იკონოგრაფიული ტრადიციებით დამკვიდრებული წარმოდგენა, რომ ამაღლების კომპოზიციაში გამოისახოს მლოცველი დვთისმშობელი („ორანტა“). სწორედ მის ადგილს აქ იჭერს წმ. ნინო. ეგანგელური წარმოდგენით კი აღდგომის პირველმოწამენი იყვნენ მენელსაცხებლე ქალები, რაიც ერთგვარად აქაცაა არეკლილი“ (სირაძე, 1987: 120).

ზემოაღნიშნულ ხილვა-ჩვენებებში წმ. ნინოს, ათორმეტ დედასა და მენელსაცხებლე დედებთან დაკავშირებულ ეპიზოდთა შორის სიმბოლურ მიმართებას უთუოდ შევნიშნავთ.

სახარებისეული თხრობის მიხედვით, წმ. მარიამ მაგდალინელი და კეთილმორწმუნე დედები ესწრებოდნენ ქრისტეს ჯვარცმას („ხოლო დგეს ჯუარსა მას თანა იქსოვსა დედად მისი და და დედისა მისისა, მარიამ კლეოპასი, და მარიამ მაგდალენელი“ – ი. 19, 25), კვირის პირველ დღეს კი ნელსაცხებლებით მივიდნენ მის სამარხთან; სწორედ მათ, – იოანე მახარებლის მიხედვით, მხოლოდ წმ. მარიამ მაგდალინელმა, – იქსოს საფლავთან იხილეს უფლის ანგელოზი (მარკ. – ჭაბუკი, ლუკ. – ორი კაცი, იოან. – ორი ანგელოზი) და ჯვარცმულის აღდგომა ეხარათ; აღმდგარი უფალი პირველებმა მათ იხილეს, მათესა და იოანეს მიხედვით კი – წმ. მარიამ მაგდალინელმა, და ეს სასიხარულო ამბავი მის მოწაფეებს აუწყეს.

„წმ. ნინოს ცხოვრებაში“ სვეტი-ცხოვლის აღმართვასთან დაკავშირებული მოვლენები სახარების ზემოაღნიშნული ეპიზოდების ზუსტი ანალიზი არაა, მაგრამ სიმბოლური თვალთახედვით შესაძლოა საერთო რეალიების დაძებნა. იქსოს საფლავთან მისულ წმ. მარიამ მაგდალინელისა და დედათა მსგავსად, წმ. ნინო და დედები რჩებიან მოკვეთილ, მაგრამ ვერ „აღმდგარ“ ცხოველმყოფელ სვეტთან; წმ. მარიამ მაგდალინელის შესატყვისად, რომელიც „დგა გარეშე საფლავსა მას თანა და ტიროდა“ (ი. 20, 11), წმ. ნინო „გოდებდა და დაადენდა ცრემლთა სუეტსა მას ზედა“ (ძეგლები, 1963/1964: 139); სვეტი-ცხოველი კი უფლის კვართის საფლავს ემყარება, რაც მაცხოვრის საფლავს გულისხმობს და სიმბოლურად უფლის აღდგომის მიმანიშნებელია. მენელსაცხებლე დედათა მსგავსად, მხოლოდ წმ. ნინოსა და დედებს ერწყათ ღვთის სიტყვა – ორი ხილვა-ზმანება; სწორედ მათ იხილეს სასწაული – სვეტს „ზედა-მოადგა ჭაბუკი ერთი ყოლადვე ნათლითა შემოსილი, და მოებლარდნა ცეცხლის სახედ ზეწარი“ (ძეგლები, 1963/1964: 141) (შდრ. მ. 28, 3 – „ხოლო იყო ხილვად მისი, ვითარცა ელვად და სამოსელი მისი სპეტაპ ვითარცა თოვლი“. ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავიც“ ამასთანავე გვაუწყებს, რომ სვეტი-ცხოველი აღმართა მაცხოვარმა: „სუეტო წმიდაო ცხოველო, ცხოველს მყოფელო, რომელი ნათელმან უსაზღვრომან ნათელ მფლობელმან ძემან ღუთისამან ნათლად ელვარედ და სუეტად ცხოველად აღგმართა ნათელ მყოფელად გულებსა ქართველთა ერისა“ (გულაბერისძე, 2007: 58). რ. სირაძე აღნიშნავს, რომ „ამ ნათელმოსილი ჭაბუკის სახეში ზეციური „სასიძოს“ სახე ჩანს (აქვე შემოდის სიმბოლიკა:

ქალწული ნინო – ზეციური სასძლო). სამოთხე ასპარეზია სულიერი ქორწინებისა“ (სირაძე, 1987: 121).

და როგორც აღმდგარმა იქსომ მიმართა წმ. მარიამ მაგდალინელს, „ყოლადვე ნათლით შემოსილმა“ ჭაბუქმა „არქუნა სამნი რამე სიტყუანი ნეტარსა ნინოს“ (ძეგლები, 1963/1964: 141) და აღმართა სვეტი-ცხოველი, „...და ახედვიდა ყოველი კაცი სვეტსა მას, ვითარცა ძალსა დმრთისასა“ (ძეგლები, 1963/1964: 160). უფლის აღდგომის მახარებელ მენელსაც ხებლე დედათა მსგავსად, წმ. ნინოსა და ათორმეტ დედას უნდა ეხარებინათ მირიან მეფისა და ქართლის ერისათვის სვეტი-ცხოვლის სასწაული. მირიანმა „იხილა მუნ ნათელი, ვითარცა ელგამ ზეცადმდე აღწევნული სამოთხესა მას შინა. იწყო სრბად, მჯკრცხლ მოსვლად, და ყოვლისა ერისა სიმრავლც მის თანა“ (ძეგლები, 1963/1964: 142); აღსრულა შემდგომი სასწაულიც – სვეტი ხელშეუხებლად დაეშვა და დაადგა თავის სადგომელს, „... დამოსდიოდეს მდინარენი ცრემლთანი მეფესა და მთაგართა და ყოველსა ერსა სულ-თქუმითა სულისა მათისათა, და აღიდებდეს ღმერთსა და პნატრიდეს ნეტარსა ნინოს“ (ძეგლები, 1963/1964: 142).

სიკვდილის წინ დაწერილ წიგნში მირიან მეფე სვეტის აღმართებაზე საუბრობს, რაც წმ. ნინოსა და დედათა ხილვას ემყარება: „ღმერთმან მადალმან მოავლინა ერთი მსახურთა მისთაგანი და წამის-ყოფითა მისითა ჭუეუანით ცად აღიწია“ (ძეგლები, 1963/1964: 161). „ცად აღწევნული“ და თავის „სარისხე-ზე“ დაფუძნებული სვეტი (რომელიც, შესაძლოა, ძველი და ახალი აღთქმის კავშირს გამოხატავდეს) მიწიერების ზეციერებასთან დამაკავშირებელი სახე-იდეა. მცხეთის „სამოთხეში“ ცხოველყოფელი სვეტის აღმართვის აღდგომის იდეასთან მიმართებას, მენელსაც ხებლე დედათა მსგავსად, წმ. ნინოსა და დედათა მახარებლებად წარმოდგენას ოვალსაჩინოს ხდის მირიან მეფის სიტყვები, რომ წმ. ნინომ „ადასრულა ყოველივე მცნებად დმრთისად და სწავლად წმიდისა მის დედის ძმისა მისისა, მამისა ჩუქნისა პატრიაქისაა“ (ძეგლები, 1963/1964:161); ქართლში წამოსვლის წინ იერუსალიმის პატრიარქი ლოცავს ნინოს და ევედრება ღმერთს, რომ დაიფაროს, „რაოთა [ნინომ] ახაროს აღდგომად შენი“ (ძეგლები, 1963/1964: 114). ზემოაღნიშნული მიმართების სისტორებს კი აღასტურებს წმ. ნინოს მონათხრობი თავისი ცხოვრების შესახებ, როდესაც ის იხსენებს, როგორ ემშვიდობება და მოძღვრავს მას იორდანისკენ მიმა-

გალი მამა: „შენ მაგდანელისა მარიამის შური აღიღე სიყუარულისათვს ქრისტესისა და დათა მათ ლაზარესითა, და ოუ შენ ესროვ გეშინოდის მისა, ვთარცა მათ, მან ეგრეთ მოგცეს ყოველი, რაც სთხოვო მას, ოდეს რაც გინდეს მისგან“ (ძეგლები, 1963/1964: 110). ეს არაა შემთხვევითი, რადგან წმ. ნინოს სიწმინდე, სიწმინდე, სულიერი ამაღლებულობა წმ. მარიამ მაგდალინელის სიწმინდესა და სულიერ ამაღლებულობასთანაა გატოლებული. წმ. ნინოს შემდგომი ქმედება – ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად ქცევა – ყოვლადწმიდა მარიამ დათისმშობლისა და წმ. მარიამ მაგდალინელის ხატებყველებითა და სახეობრივი სიმბოლიკითაა წარმართული. წმ. მარიამ მაგდალინელი და წმ. ნინო იმითაც ემსგავსებიან ერთმანეთს, რომ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ისინი მოციქულთა სწორებად მიიჩნევიან. წმ. ნინომ მამის დამოძღვრა ადასრულა და ქრისტეს სიყვარულით ადსავსე სულიო ქართლს ექმნა მოძღვრად, დედოფლად, „შესავერებელ ყოველთა“. ადსანიშნავია, რომ წმ. ნინო სიკვდილის წინ მასთან მისულებს ასე მიმართავს: „ასულნო სარწმუნოვებისანო, მახლობელნო ღმრთისანო, დედოფალნო ჩემნო“ (ძეგლები, 1963/1964: 105).

წმ. მარიამ მაგდალინელის, კეთილმორწმუნე დედების და წმ. ნინოს სახეთა ურთიერთმიმართებას განსაზღვრავს ფარავნის ტბაზე კაბადოკიელი ქალწულისათვის ღვთისაგან ბოძებული ათი სიტყვაც (დეკალოგი), რომელიც „დაწერილი იყო ჰრომაელებრ და დაბეჭდული იყო იქსუდისი“ (ძეგლები, 1963/1964: 116). ამ ათი სიტყვიდან – ერთი ლაზარეს დას, მარიამს უკავშირდება – მეშვიდე სიტყვა გვამცნობს უფლის სიყვარულს მარიამისადმი: „ფრიად უყვარდა მარიამ უფალსა, რამეთუ მარადის ისმენს მისსა სიბრძნესა ჰეშმარიტსა“ (11 ძეგლები, 1963/1964: 7); მეცხრე სიტყვაში კი იქსოს მიმართვაა წმ. მარიამ მაგდალინელისადმი: „რქეა მარიამ მაგდალინელსა იქსუ: „წარვედ, დედაკაცო, და ახარე მმათა ჩემთა“ (ძეგლები, 1963/1964: 117). ეს დეკალოგი წარმართულ ქართლში ქრისტიანობის „ნათლის გამობრწყინვებას“ გვაუყებს და წმ. ნინოს მოციქულებრივ ღვაწლს ამოწმებს. აქ წარმოდგენილი მცნებები წმ. ნინოს მისიას განსაზღვრავს; იგი ერთგვარი გზის-მკვლევია მოციქულთა სწორი ნინოს სახე-ხატისა. აქედან გამომდინარე, ზემოთ მოხმობილი ორი სიტყვა წმ. ნინოს მიე-მართება ვთარცა წმ. მარიამ მაგდალინელისა, რომელიც მო-

ციქულთა სწორადაა მიჩნეული<sup>1</sup>, და ლაზარეს დის, მარიამის სულიერ დასა და მეგვიდრეს. სწორედ წმ. ნინო გამოარჩია უფალმა, რამეთუ მის სიკარულსა და სიბრძნეს მიჰყებოდა სიყრმიდანვე, წმ. ნინოს უნდა ეხარებინა ქართველთათვის „მიახლებად ღმრთისა“, რომ „გამობრწყინდა ნათელი სამხრისა და მზე სიმართლისა“.

თხულებიდან ირკვევა, რომ წმ. ნინოსა და ათორმეტ დედათა მისიას სიმბოლურად აგრძელებენ დედოფალი და „დედანი იგი მთავარნი“, რომლებიც არ განეშორებიან სვეტი-ცხოველსა და პატიოსან ჯვარს: „ხოლო დედოფალი და სხუანი იგი მთავარნი დედანი არასადა განეშორებოდეს ეკლესიასა სუეტისა მის ცხოველისასა და ნათლისასა, რამეთუ ხედვიდეს სასწაულთა და კურნებათა მიუთხობელთა“ (ძეგლები, 1963/1964: 152).

უოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე ცხადი ხდება სიმბოლური მიმართება, ერთი მხრივ, წმ. მარიამ მაგდალინელსა და მართლმორწმუნე დედებს, მეორე მხრივ, წმ. ნინოსა და ათორმეტ დედასთან დაკავშირებულ რეალიტან. იქსოს ჯვარცმის, მისი საფლავის, ანგელოზის ხილვის, მენელსაცხებლე დედებისაგან უფლის აღდგომისა და გამოცხადების ხილვის, მათ მიმართ უფლის სიტყვა-მიმართვის, მოწაფეთათვის ხარების ანარეკლი იხილვება უფლის კვართზე (საფლავზე) დაყრდნობილი სვეტი-ცხოვლის მოკვეთის, „ვერადმართების“, საყოველთაო მწუხარების, კეთიდამორწმუნე დედების ქმედებების, უფლის სიტყვის – ხილვა-ჩვენებების, ნათელმოსილი ჭაბუქის მოვლინების და წმ. ნინოსადმი სიტყვა-უწყების, სვეტის „აღდგომისა“ და სასწაულის ხარების ეპიზოდები; მცხეთის, მეორე იერუსალიმის „სამოთხეში“, მაყვლოვანში აღსრულებულ სვეტი-ცხოვლის სასწაულსა და მასთან დაკავშირებულ სიმბოლოებში, სვეტიცხოვლის სახელდებაში პიორდიგმურ-პარადიგმული შინაარსი ამოიკითხება.

უადრესად მნიშვნელოვანიას საგალობლები, რომლებშიც მითითებულია, თუ როგორ ნახა წმ. მარიამ მაგდალინელმა

<sup>1</sup> XI საუკუნიდან ქართულ პაგიოგრაფიასა და პიმნოგრაფიაში წმ. ნინოს მოციქულთა სწორად და მოციქულად მოხსენიების ტრადიცია დამკვიდრდა, კერძოდ, არსებ ბერის, ნიკოლოზ გულაბერისძის, არსებ ბულმაისისძის თხულებებში წმ. ნინო მოციქულთა სწორად და მოციქულად იხსენიება.

მაცხოვრის ცარიელი საფლავი; პირველი სწორედ ის იყო, ვინც ეს იხილა; კერძოდ, წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-ხახე, წმინდა მენელსაცხებლე დედებთან ერთად, წარმოჩენილია უძველეს იაღგარში მოთავსებულ საგალობლებში, რომლებიც ქართულენოვან საგალობელთა უძველეს ფენას ინახავენ.

აღდგომის საგალობლებში დიდი ადგილი ეთმობა და ხშირად მიეთითება მაცხოვრის საფლავთან მენელსაცხებლე დედათა მისვლა, რომელთა სახელები ყოველთვის არაა დასახელებული (მეტრეველი, 1980: 380-381, 392, 396-397, 405, 407, 409, 432, 436, 456-457, 473, 508 და სხვ): „**დედანი**, რომელი ჯუარცუმამდევე შეუდგეს, რომელი ჯუარსცუმასაცა თანა იყვნეს, მსოუად მოვიდეს საფლავად, რამთა იხილონ ადგომად უფლისაა“ (მეტრეველი, 1980: 437). „**ცისკარსა მოვიდეს დედანი ნელსაცხებლითა** საფლავად და არა გპოვეს შენ, და ახარა მათ ანგელოზმან აღგომად შენი, ქრისტე“ (მეტრეველი, 1980: 380). ერთ სინურ (Sin.18) ხელნაწერში არის ვარიანტი „სხუად დედანი ნელსაცხებლითა“: ორივე საგალობელში ეგანგელური მონათხოვბის კვალობაზე დეტალურადაა აღწერილი, თუ როგორ მივიდნენ მენელსაცხებლე დედები საფლავთან და იგი ცარიელი დაუხვდათ, ხოლო მარიამს, ზოგან კი – კველა მენელსაცხებლე დედას, მაცხოვრის აღდგომა ანგელოზისაგან ეუწყა.

საგალობელთა ნაწილში კი გამოყოფილია წმ. მარიამ მაგდალინელის სახელი და იგი სახელით მოიხსენიება: „ადგა მკუდრეთით დამბადებელი და გამოუჩნდა მარიამს საფლავსა თანა, ხოლო მოწაფეთა – შემდგომად“ (მეტრეველი, 1980: 411); „ორნი ანგელოზნი, რომელი სხდეს საფლავსა თანა, მიაგებეს ხარებად და ნუგეშინის-ცემად დედათა მათ და პრქუეს: გიხაროდენ, უფალი ადგა მკუდრეთით და ცხორებად საუკუნოდ სოფელსა მოანიჭა. სიხარულითა აღიგსნეს ყოველნი, რომელთა აღგომისა შენისა ძალი ეუწყა. მარიამ რაღ მაგდანელი საფლავად მივიდა, იხილა ანგელოზი, ლოდსა ზედა მჯდომარც სამოსლითა ბრწყინვალითა, და იტყოდა: რადსა ეძიებთ ცხოველსა მას მკუდართა თანა? არა არს აქა, არამედ აღდგა, ვითარცა თქუა, წინა გიძღვს თქუენ გალილეად“ (მეტრეველი, 1980: 415);

„რომელი საფლავსა დაიდევ და დასისაგან დატეჭდე, ყოლად ძლიერებით ასდევ მესამესა დღესა, მარიამ საფლავსა

თანა ტიროდა ცრემლითა, ანგელოზი უდაღადებდა: ნუდარა ხარ შენ მწუხარე, აღდგა უფალი.

რომელმან მიეც მადლი წმიდათა მათ დედათა, რომელნი დირს იქმნეს მისლვად დმრთივ შემწყნარებელთა საფლავსა შენსა. ანგელოზმან აუწყა ადგომისა შენისა ძალი, ქრისტე, იხილეს ადგომად უფლისად და ახარეს წმიდათა მოციქულთა“ (მეტრეველი, 1980: 491-492).

„დგა **მარიამ** საფლავსა თანა, ტიროდა, ცოომასა მას ევაისსა ცრემლითა განსწმედდა... აიმსოთ მარიამ ხილვად დაბეჭდულსა მას საფლავსა, ნელსაცხებლითა და ცრემლითა ეძიებდა გუამსა შენსა, მაცხოვარ. ეტყოდა უფალი **მაგდალელსა მარიამს:** დედაკაცო, რადსა სტირ, ანუ ვის ეძიებ? მიიქცა მარიამ, იხილა რად უფალი, ფერწოთა მისთა შეუვრდა, დაღადებით იტყოდა: დიდებად ადგომასა შენსა, მაცხოვარ. მსთუად მოიღეს ნელსაცხებელი საფლავად წმიდათა მათ დედათა. მიეწიოვნეს კურთხევასა უფლისასა, ჩუენცა ადგომად გუახარეს. ასდეგ და ახარე მოციქულთა, ჩუენცა, მჯსნელო, შეგპწყალენ... ნელსაცხებლის მიმღებელნი დედანი, წადიერებისაგან მისრული საფლავსა შენსა, მაცხოვარ, გემიებდეს ადგომილსა მკუდრეთით და განმაქარვებელსა ჯოჯოხეთისა ძალისასა. ასდეგ საფლავით, ქრისტე დმერთო ჩუენო, მენელსაცხებლეთა დედათა პირველად გამოუჩნდი, გიხაროდენ – ეტყოდე მათ, რამეთუ იქსენ ევა დარჩილებისაგან“ (მეტრეველი, 1980: 507).

„სიონი განშუენდების და იერუსალემი შეიმკვების და წმიდად ადგომად აღიგსების მადლითა, რამეთუ მეუფტე ჩუენი ქრისტე, ვითარცა სიძმე, ეგრცი გამოვიდა საფლავით და **მარიამ მაგდალელი** წარავლინა მოციქულთა ხარებად, რათა წარვიდენ გალილეად და იხილეს ადგომილი უფალი, რომელთა სიხარულით ოყვანის-სცეს, დავითის გალობასა დაღადებდეს და იტყოდეს: „შენ გშუბნის...“ (მეტრეველი, 1980: 547).

უძველესი იადგარის საგალობლებში წმ. მარიამ მაგდალინელი მარიამის სახელით მოხსენიებული ქალისაგან განსხვავებულია; ეს ის მარიამია, რომელმაც მაცხოვარს ნელსაცხებელი სცხო ფეხებზე: „მოვიდა უფალი ბეთანიად ნუგეშინის-ცემად მარიამისა და მართადსა და უჩუენა ქოველსა ერსა დიდებად მისი, და ლაზარე, ოთხისად დღისად მკუდარი აღადგინა საფლავით. მოვიდა **მარიამ** მაცხოვრისა და შეუვრდა ფერწი მისნი და თმითა თუისითა წარწოცნა. მოიღო **მარიამ**

ნელსაცხებელი და ოწყო ცხებად ფერგვთა უფლისათა, და სუნელებად დიდალი მიეფინებოდა ზედა ყოველსა ერსა, რომელი მოსრულ იყვნეს ზრახვად მარიამისა და მართავსა“ (მეტრეველი, 1980: 163). ეს ლაზარქს და მარიამია, რასაც იოანე ღვთისმეტყველის სახარება მოწმობს: „ხოლო მარიამ მოიღო ლიტრად ერთი ნელსაცხებელი ნარდისა სარწმუნოსად მრავალ-სასყიდლისად და სცხო ფერგვთა იქსულსთა და თმითა თვისითა წარწოცნა ფერგვნი მისნი, და სახლი იგი ყოველი აღივსო სულხელებითა მის ნელსაცხებელისათა“ (იოანე, 12, 3). ამავე კრებულის საგალობლებში ცოდვილი დედაკაცის სახეც არის, მაგრამ იგი სახელით არსად იხსენიება. მაცხოვარს მან ცრემლით დაულტო ფეხები და შემდეგ თმებით შეუმშრალა. ესაა ის ცოდვილი დედაკაცი, რომელიც მოიხსენიება სახარებებში სახელის გარეშე. ეს არაა წმ. მარიამ მაგდალინელი, არც მართასა და ლაზარქს და მარიამ, ესაა უსახელო ცოდვილი დედაკაცი, რომლის სახე საგალობლებში, ქადაგებებში და სხვა საღვთისმეტყველო უანრის თხზულებებში ბევრგან დასტურდება. ერთ-ერთ ნიმუშად შეიძლება მოვიხმოთ იოანე ბოლნელის ერთი ქადაგება, იგი ცოდვილი დედაკაცის თემას ეძღვნება, რაც სახელწოდებაშივე ჩანს: „დედესა ჭორცითა აღებასა, თარგმანებად წმიდათა მარხვათა სახარებისად; სახარებად მათეს თავისად, ფარისეველისა მისოთვს და დედაკაცისა ცოდვილისა, რომელმან სცხო ნელსაცხებელი უფალსა ჩუენსა იქსუ ქრისტესა, თქვემული წმიდისა იოვანე ბოლნელ ეპისკოპოსისად და საკითხავი ესე“ (ბოლნელი, 1999: 195-201). მასში იოანე ბოლნელი ცოდვილი დედაკაცის მიერ მაცხოვრისათვის ნელსაცხებლის ცხებისა და მისოთვის ფეხების საკუთარი თმებით შემშრალების შესახებ ქადაგებს, იგი მრავალი ცოდვის ჩამდენ იმ დედაკაცადაა მიჩნეული, რომელიც ცრემლით ეძიებდა სინანულს. მან იპოვა პატიოსანი ნელსაცხებლით აღსავს ჭურჭელი და განიზრახა, რომ ამ ნელსაცხებლის საცხებლად მიახლებოდა იქსოს: „უკუეთუ მიმიტეოს მიახლებად და ცრემლითა დაბანად ფერგვთა მისთა და თმათა თავისა ჩემისათა წარწოცად, ვიცი და მრწამს, რამეთუ აჭოცნეს ყოველი უშჯულოებანი ჩემნი, და შეიწიროს თუ დასხმად ნელსაცხებელი ესე თავსა მისსა და ფერგვთა მისთა, ვიცი და მრწამს, რამეთუ შეიწალოს და შეიწყნაროს სულიცა ჩემი“ (იოანე ბოლნელი, 1999: 199). შემდეგ განხილულია ნელსაცხებლის ცხების ეპიზოდი. მთლიანად ამ

საუბარ-პომილიაში არსადაა ნახსენები ცოდვილი დედაკაცის სახელი, რომელსაც მაცხოვარი შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, ვიდოდე მშვდობით“ (იოანე ბოლნელი, 1999: 201).

ამრიგად, უძველესი იადგარის საგალობლებში განსხვავებული და ერთმანეთისაგან გამიჯნულია წმ. მარიამ მაგდალინელი და ცოდვილი მენესაცხებლე ქალი, რომლის სახელი საგალობლებში არცაა მოხსენიებული, ისევე როგორც სახარებებში არ იხსენიება იგი საბუთარი სახელით.

ძალზე საინტერესო მიქაელ მოღრეკილის კრებულში, დიდ საწელიწდო იადგარში დაცული საგალობლები; აღდგომის პიმნოგრაფიულ კანონებსა და მცირე ფორმის საგალობლებში სხვა მენელსაცხებლე დედათა შორის წმ. მარიამ მაგდალინელი სახელდებით მოიხსენიება. დავიმოწმებთ რამდენიმე ტროპარს:

„რომელი შეუხებელითა ჭორცითა უხრწნელითა აღდგა საფლავით, გამოუჩნდა მარიამს მაგდანელსა“ (მოდრეკილი, 1977: 358); „მენელსაცხებლენი დედანი შეგივრდენ ფერგთა შენთა, ქრისტე, საღმრთოსა საფლავსა თანა გიხილეს რად აღდგომილი და ეტყოდე შენ მარიამს: ნუ შემომეხები მე, წარვედით და ახარეთ თქუენ მამათა ჩემთა აღდგომად ჩემი“ (მოდრეკილი, 1977: 398); „ენება დედათა ხილვად აღდგომად შენი, ქრისტე, მო-რავ-ვიდა მარიამ მაგდანელი საფლავად, პოვა ლოდი იგი აღებული სამარით; ხოლო ანგელოზი ნათლისად ეტყოდა მათ: რავსა ეძიებოთ თქუენ ცხოველსა მას მკუდართა თანა“ (მოდრეკილი, 1977: 415); „ხოლო ჰურიანი მანანავსა წილ ძმარსა ასუმიდეს და ღრუბლისა წილ ნათლისა საფლავსა დადგეს და სამ დღე სცვიდეს. მაშინ მარიამ მაგდანელმან და სხუათა დედათა აღიღეს ნელსაცხებლელი სულნელად და საფლავად მოვიდეს. მკურვალედ სურვილითა დედანი გემიებდეს შენ“ (მოდრეკილი, 1977: 468); „მარიამ მაგდანელი სხუათა თანა დედათა გეძიებდეს შენ, ქრისტე“ (მოდრეკილი, 1977: 483); „გამო-რავ-ხუედ შენ საფლავით, ქრისტე მაცხოვარ, გიხილა მაგდანელმან და მორბიოდა შენდა ჩუეულად შემოხუევად ჭორცითა შენთა საღმრთოთა“ (მოდრეკილი, 1977: 487); „ხოლო მარიამს მაგდანელსა დაფლვისა იგი მწუხარებად განუქარდა აღდგომისა ხილვითა“ (მოდრეკილი, 1977: 497); „გამომაგალი საფლავით გიხილა რად მაგდანელმან და სურვიელად მორ-

ბიოდა შენდა, რათა ამბორს უყოს ფერწთა შენთა, მჯსნელო“ (მოდრეკილი, 1977: 499).

მიქაელ მოდრეკილის „საწელიში“ დაცულ აღდგომის სადღესასწაულო საგალობლებში, ყოველ პიმინგრაფიულ კანონსა თუ მცირე ფორმის საგალობელში, მენელ-საცხებლე დედების თემა ერთ-ერთი მთავარი თემათაგანია და მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. ხოლო ყველა საგალობლის ის ტროპარი, რომელშიც წმ. მარიამ მაგდალინელია მოხსენიებული, სწორედ ამ თემას, მაცხოვრის აღდგომის თემასა და ნელსაცხებლის საცხებლად მაცხოვრის საფლავთან მისვლას ასახავს. აღდგომის არც ერთ საგალობელში ნახსენები არაა ცოდვილი დედაკაცი, არსადაა მინიშნება წმ. მარიამ მაგდალინელის ცოდვილიანობაზე. მიქაელის კრებულში დაცულია კვირიკე-კურდანის აღდგომისადმი მიძღვნილი ერთადერთი მცირე ფორმის საგალობელი, რომელშიც მენელსაცხებლე დედები იხსენიებიან, მაგრამ სახელდებით წმ. მარიამ მაგდალინელი აქ არაა დასახელებული და ცალკე გამოყოფილი. ისინი, ყველანი ერთად, იესო ქრისტეს გვერდით იყვნენ მისი ამქვეყნიური ცხოვრების უმძიმეს წუთებში.

მიუხედავად იმისა, რომ წმ. მარიამ მაგდალინელი არაა ნახსენები კვირიკე-კურდანის მიერ, მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ საგალობლის ტექსტის დამოწმება: „დაფლვითა შენითა, ქრისტე, აღდგეს მკვდარნი საფლავითგან, დაბეჭდვითა შენითა ყოველნი გვამნი წმიდათანი გამოვიდეს სამარისაგან დიდებად შენდა, მჯსნელო, რათა წამონ ძლიერებად შენი; აუწყა ანგელოზმან დედათა აღდგომად შენი, ქრისტე, წარავლინნა ხარებად და მითხოვად მოციქულთა აღდგომასა შენსა, მჯსნელო, რათა წარვიდენ გალილეას და მუნ გიხილონ უფალი და მოძღუარი“ (მოდრეკილი, 1977: 486).

იოანე მინჩხის საგალობელებშიც მენელსაცხებლე დედები იხსენიებიან; წმ. მარიამ მაგდალინელი სახელით არაა მოხსენიებული და არც გამოყოფილია სხვა დედებისაგან. დავიმოწმებთ რამდენიმე ნაწყვეტს: „ტირილად განმზადებულნი იგი წმიდანი დედანი პეიონეგიდეს დღეს იოსებს: გითარ უკუმ დაპკრძალეთ საფლავი უფლისად?“ რამეთუ ეგულებოდა კუალად სურნელითა შემურვად გუამი მისი და იტყოდეს ურთიერთარს: „ვინ გარდაგბგორგოს ჩუენ იგი ლოდი კარისა მისგან საფლავისა, რათა ვიხილოთ ჩუენ, რომელსა-იგი სბინაგს სახედ მკუდრისა ყოველთა მჯსნელსა?“ (ხაჩიძე, 2000:

284); „ლმობიერად ცრემლითა ნელსაცხებელი მოაქუნდა დირსთა დედათა და აღდგომისა შენისა ხილვითა აღვხებული მადლითა მოციქულთა ექმნებს დღეს მახარებელ“ (ხაჩიძე, 2000: 289); „ცისკარსა მას სწრაფით მოვიდეს დედანი საფლავად ნელსაცხებლითა შემურვად ჭორცითა შენითა, ხოლო შენ აღდგომილი ეწუენე მათ და აღავსენ სიხარულითა“ (ხაჩიძე, 2000: 289); „მენელსაცხებლეთა მათ დედათა მოაქუნდა, რაი-იგი მოემზადა საფლავად, ხოლო თუალნი მათნი სავსე იყვნეს ცრემლითა და მი-რა-იწინეს, ახარა ანგელოზმან აღდგომად და დაღადებდეს: „უფალო, დიღებად ძალსა შენსა“ (ხაჩიძე, 2000: 291); „ელვარე ანგელოზი გამოჩნდა მჯდომარე ლოდსა ზედა საფლავისასა და ეტყოდა წმიდათა მათ დედათა: „რაისა ეძიებო ცხოველსა მას მკუდართა თანა? აღდგომილ არს საფლავით, ნუდარა ხართ მწუხარე“ (ხაჩიძე, 2000: 293); „ეწუენეს მგლოვარენი უსეველონი, სპეტაკითა მოსილნი საფლავსა ზედა, რომელი ეტყოდეს მათ: „ნუ შესძრწუნდებით, აჲა, იხილეთ საფლავი ცალიერი და ქადაგეთ უფლისა მკუდრეთით აღდგომად“ (ხაჩიძე, 2000: 297); „ეწუენა ლოდსა ზედა, ვითარცა ელვად უფლისა ანგელოზი მომავალთა მათ მტირალთა, მგლოვარეთა, დირსთა დედათა და ახარა მან ქრისტეს მკუდრეთით აღდგომად, ხოლო მცველთა მათ შესწუვიდა საშინელად“ (ხაჩიძე, 2000: 299).

იოანე მინჩხის საგალობლებშიც ევანგელიური თემატიკისა და თხრობის კვალობაზე აისახება მაცხოვრის საფლავთან მენელსაცხებლე დედათა მისვლა და მათ მიერ ცარიელი საფლავის ხილვა. ისინი მაცხოვრის ამქვეუნიური ცხოვრების უმძიმეს წუთებშიც მასთან ერთად იყვნენ და იზიარებდნენ მის უმწვავეს ფიზიკურ ტკიფილებს. აქ არ ჩანს, თუ რა პქვიათ მათ, კერძოდ, არის თუ არა მათ შორის წმ. მარიამ მაგდალინიელი, თუმცა, საგალობლელთა ყველა კონტექსტი, სადაც მენელსაცხებლე დედათა თემაა წარმოდგენილი, მოწმობს, რომ მათ შორის იგი უთუოდ იგულისხმება, რადგან საგალობლელთა ნაწილში სახელით იხსენიება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იოანე მინჩხი ცოდვილი დედა-კაცის თემასაც ეხება და მის სახეს წარმოაჩენს, როგორც მონანიე ადამიანისას (ხაჩიძე, 2000: 280-281). საგალობლებში მკვეთრად გამიჯნულნი არიან მენელსაცხებლე დედები და ცოდვილი, შეძავი დედაკაცი. დავიმოწმებთ ამ საგალობლელსაც, რომელშიც დეტალურადაა ასახული ცოდვილი დედაკაცის

მიერ ნელსაცხებლის დასხმა მაცხოვრის თაგზე, რის შედეგადაც მიეტევა ცოდვები; იგი შეპირისპირებულია იუდასთან, მაცხოვრის გამცემელთან: „ინაკით მჯდომას მოგიწდა დედაქაცი და ფერწთა შენთა შეუვრდებოდა, მგსნელო, და ნელსაცხებელსა დაგასსხმიდა თავსა შენსა, უფალო, ნელსაცხებელსა მაგას ცხორებისასა და შენდობად მიიღო. ნელსაცხებელი მრავლისა სასყიდლისად მეძავმან მან დღეს ცრუმლთა თანა შეზავა და დაგასსხმიდა თავსა და ამბორს-უფოფდა ფერწთა მათ შენთა ყოვლად წმიდათა, ქრისტე, და მიიღო მან მოტევებად ცოდვათავ“ (ხაჩიძე, 2000: 280); „მეძავი იგი დედაქაცი მიუპყრობს ნელსაცხებელსა მას სურნელსა უფალსა და შენდობასა ცოდვათასა მიიღებს, ხოლო იუდა მიუპყრობს განსყიდასა ქრისტესა მდდელთა და მოიღებს შიშთვილსა“ (ხაჩიძე, 2000: 281).

წმ. მარიამ მაგდალინელისა და მენელსაცხებელე დედათა შესახებ ცნობები გვიანდეული ხანის თხზულებებსა და პომილიებშიცაა დაცული. კერძოდ, სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარი“ ეხება ქრისტიანული მრწამსის თაობაზე სწავლებას, ქადაგებას, იგი საკმაოდ დეტალურად ასახავს მაცხოვრის აღდგომას და ამათან დაკავშირებით ყოვლად წმინდა დვთისმშობელთან ერთად ახსენებს წმ. მარიამ მაგდალინელს: „ოდეს ქრისტე აღდგა, ვის უწინ ეჩუენა? პირველად მარიამ ღმრთისმშობელსა და წარმოუდგინა ნათლისმცემელი და მამამთავარნი: „დედაო, ამათოვის იუდა ვნება ჩემი და მწუხარება შენიო“, და მერმე მარიამ მაგდანელელსა ეჩუენა და სხუათა მათ და ყოველთა მოციქულთა“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963: 256). მაგრამ ამავე თხზულებაში აღნიშნულია, რომ მაცხოვარმა წმ. მარიამ მაგდალინელს მიუტევა (სულხან-საბა ორბელიანი, 1963: 297-298), რაც სულხან-საბა ორბელიანის კათოლიკური რწმენის გამოხატულება უნდა იყოს. ქადაგებებში კი აღნიშნულია, რომ უფალმა იესო ქრისტემ წმ. მარიამ მაგდალინელისაგან „განასხნა შვიდნი ეშმაკნი“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963: 37). თავის ცნობილ ქადაგებებში, კერძოდ, „სწავლა დიდის ხეთშაბათისა“, საბა შეეხო მენელსაცხებლე მარიამის საკითხს, რომელიც წმ. მარიამ მაგდალინელი არაა. მან ერთმანეთს შეუპირისპირა მენელსაცხებლე მარიამ და იუდა ისკარიოტელი: „მეძავი სახლთა სამებაოთა, რომელი მარადის ისმენდა სიტყვათა საბაგელთა და ჰყოფდა სიმღერათა და სიღოდათა, ვითარ

აღდგა და იუდა უბადრუკი, მოწაფე ქრისტესი, რომელსა მარადის ესმოდა სწავლა საღმრთო, იხილეთ, ვითარ დაეცა საწყალობელად! უწმინდერი დედაკაცი და სხვათაცა სიწმიდისა განმძარცველი დიდი წმიდა იქმნა და მოწაფე სხვათა განმწედელი... მარიამ უცხო, უცნობი ქრისტესი, მეძაობისა დამტევებელი, ქრისტეს მეცნიერ იქმნა და მოყვასი ქრისტესი, ურცხვი, უგლიმი, ქრისტესგან უცხო იქმნა. მარიამ – სამედაოსა სამკაულოთა განმსიყვდველი, მომვაჭრებელი ნელ-საცხებელისა, ქრისტეს მპოვნელი და იუდა – ქრისტეს განმსყიდველი... მარიამ არა პრიდებს ძვირფასისა ნელსაცხებელისა დათხევასა და მოციქული დრტვინავს სხვისა საუნჯისა საჭმარად ყოფისათვის დღეს. მარიამ ისმენს: „წარვედ, შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი“... მეძავი განათლებული და მოციქული დაბნელებული, ორნივე დღეს შეიყრებიან; მარიამ მრავალ-მცოდველი, დღეს სრულიად უცოდველი, და იუდა მცოდველი, ცოდვისა გარდამეტებულისა მომპოვნებელი, დღეს იგსენებიან“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963: 154-155); საბას მიერ ნახენები მარიამი მენელსაცხებლე დედაა, მაგრამ იგი არაა წმ. მარიამ მაგდალინელი, რადგან კონტექსტის მიხედვით, იგი ის მარიამია, რომელმაც ნელსაცხებელი პირველად სცხო მაცხოვარს ფეხებზე, როდესაც თავის მოწაფეებთან ერთად იმყოფებოდა. „სწავლაში ახალ კვირია-კესა ძვირის არაგსენებისათვის“ ტრადიციული თვალსაზრისით წარმოადგინა მაცხოვრის საფლავის ნახვის შემდეგ, რომელსაც მოწაფეთათვის ამბის უწყება დაავალა (სულხან-საბა ორბელიანი, 1963: 160); ქადაგებაში „სწავლა სიმთვრალი-სათვას“ წმ. მარიამ მაგდალინელი მეძავთა და მემრუშეთა შორის მოიხსენიება: „იუწეო, საყვარელნო, იესუ ქრისტემან, ღმერთმან ჩვენმან, ცოდვილთათვის ვნებულმან ყოველი ცოდვილი შეიწყალა, მეძავნი და მემრუშენი აცხოვნა. თვით უწყით, მარიამ მაგდალინელი ვითარი იყო; უარისმყოფელი პეტრე თავ მოციქულად დაადგინა, ეკლესიისა მდევარი პავლე სამ ცადმდე ადამადლა, ანგარი მათე მეზვერე მახარებელ ყო, გრძნების მოქმედნი მოგვი ბეთლემს მოსლევითა სასუფელისა დირს ყვნა...“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963: 219). მართალია, სულხან-საბა ორბელიანს არ დაუკონკრეტებია წმ. მარიამ მაგდალინელის ცოდვა „ვითარი იყო“, მაგრამ სხვა ჩამოთვლილ პირთა ცოდვათა აღნუსხვით ნათელი ხდება საბასეული

აღქმა, რაშიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კათოლიკური მრწამსის გავლენა შეინიშნება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახე ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებებში. პომილეტიკოსი მრავალგზის მოისეენიებს წმ. მარიამ მაგდალინელს და განმარტავს მარიამისადმი მიმართულ მაცხოვრის ბრძანებას, როდესაც სახარებაში ნათქვამია, რომ წმ. მარიამ მაგდალინელი მაცხოვარს არ შეეხოს. სწორედ ამ ეპიზოდის განმარტებაა მოცემული ქადაგებებში: „ამაღლებამდისაც მარიამ მაგდალინელს რა უბრძანა: ნუ შემომეტებიო, კიდევ ცხადად არ გეჩუენება თავისის კაცომოყვარებისათვის, ამისთვის რო უხილავად უდიდეს ნეტარებას მიიღებ, ვითარცა ბრძანებს უფალი იქსო ქრისტე: „ნეტარ არიან რომელთა არა უხილავ და ვრწმენე“ (ჭყონდიდელი, 1898: 9).

წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახე გაცოცხლებულია საერო ლიტერატურაშიც, კერძოდ, თეომურაზ მეორის პოემაში „გაბაასება დღისა და დამისა“. თაგში „წმინდა პასქა“ მოთხოვდილია მაცხოვრის აღდგომა და მასთან დაკავშირებული მთელი ეპიზოდია ასახული; ავტორი მაცხოვრის საფლავთან მისულ მენელსაცხებლე დედათა შორის საგანგებოდ გამოყოფს წმ. მარიამ მაგდალინელსა და სხვა მარიამს:

რომელიცა განთენდება, ერთშაბათად დადამდების,  
მაგდანელი თვით მარიამ მოვა, გზას არ დავარდების,  
და სხვა იგი მარიამცა სანახავად მზად იქნების,  
ძვრაცა იყო, ანგელოსი დგომისა ზეცით გარდოხდების...

(ქართული პოეზია, 1976: 314).

ნათლად ჩანს ის ტრადიციული ხედვა, რაც ევანგელიური სწავლებიდან მომდინარეობს და რაც წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახეს წარმოაჩენს, როგორც მაცხოვრის საფლავზე მისული პირველი ქალისა, ხოლო პირველობა რას ნიშნავს, სრულიად ნათელია.

ამრიგად, წმ. მარიამ მაგდალინელის პირვნების მიმართ მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ექლესიებში დიდი ხნის მანძილზე სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება არსებობდა, კერძოდ, მართლმადიდებლობა მას მოციქულთა სწორ წმინდა მენელსაცხებლე დედად აღიარებს. ევანგელიური მონათხოვთით, წმ. მარიამ მაგდალინელი უფალმა განკურნა შვიდი ეშმაკისგან, რის შემდგომაც იგი უკელგან თან ახლდა მაცხოვარს,

ქრისტესთან ერთად გაიარა გოლგოთის გზა და ჯვარცმაც საკუთარი თვალით იხილა; ქრისტეს დაფლვასაც ესწრებოდა და ჯვარცმიდან შესამე დღეს, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს მის აკლდამასთან ნელსაცხებლებითა და საკმევლით მივიდა. მან პირველმა იხილა აღმდგარი მაცხოვარი, პირველმა ირწმუნა და პირველმა აუწყა ქრისტეს მოწაფეებს მაცხოვრის სასწაულებრივი აღდგომა.

კათოლიკური ეკლესიის ტრადიციით, მას დიდი ხნის მანძილზე აიგივებდნენ უსახელო მონანიე ცოდვილთან, რომელმაც სვიმეონ ფარისევლის სახლში ქრისტეს ფეხები ცრემლით დაალტო და თმით „წარხოცა“, შემდეგ კი ნელსაცხებელი სცხო ფეხებზე, ასევე – ერთ უსახელო ქალთან, რომელმაც იქსოს თავზე ნელსაცხებელი დაასხა სვიმეონ კეთროვნის სახლში, ბეთანიაში, და მარიამთან, ლაზარესა და მართას დასთან. ამას ერთვოდა მრავალი ლეგენდაც. მოგვიანებით, მაგდალინელის ცხოვრებას დაემატა ზოგიერთი სიუჟეტი მონანიე ცოდვილის – მარიამ მეგვიპტელის (V ს.) – ცხოვრებიდან, რამაც მაგდალინელის მებავ ქალად წარმოდგენას კიდევ უფრო მეტად გაუმჭარა საფუძველი. ვფიქრობთ, რომ მარიამ მაგდალინელის სახის სწორი ინტერპრეტაცია მოითხოვს მეტი ყურადღების მიქცევას წყაროებისათვის, რომლებიც საგმაოდ მოიძებნება ქართულ და უცხო ენებზე.

უვანგელურ თხრობაში იქსოს მიროცხების ეპიზოდში მონაწილე სხვადასხვა ქალის (ლუკას მიხედვით, ცოდვილი ქალი, იოანეს მიხედვით – მარიამი ბეთანიიდან) გაიგივება მაგდალინელთან საბოლოოდ რომის პაპის, წმ. გრიგოლ დიდის, „შემოღომის ქადაგებაში“ აისახა 591 წელს, ხოლო სახარებებში მარიამ მაგდალინელისა და მარიამ ბეთანიელის აღუნიშნავი ცოდვა განიმარტა როგორც მრუშება, პროსტიტუცია. მისი ამგვარი ინტერპრეტაცია აღორძინების ხანისა და მოძევნო პერიოდის მხარგრობაშიც დამკვიდრდა.

კათოლიკურმა ეკლესიამ XX საუკუნეში სცადა, გაესწორებინა აღნიშნული შეცდომა და 1969 წლის რეფორმის შემდეგ Novus Ordo-ს კალენდარში მარიამ მაგდალინელი უკვე აღარაა წარმოდგენილი „მომნანიედ“. მიუხედავად ამისა, ხალხის ცნობიერებაში საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციული შეხედულება (მაგდალინელი – მონანიე მრუში ქალი), რომელიც ხელოვნების მრავალი ნაწარმოების ზეგავლენითაც იყო განმტკიცებული, მირითადად, უცვლელი დარჩა. კათოლი-

კური ეკლესიის მიერ მაგდალინელის პიროვნების შებლალული სახელი გავრცელდა მართლმადიდებლურ სამყაროში, მაგ., პოეზიაში – მ. ცვეტაევა, ბ. პასტერნაკი, სასულიერო პირთა შორისაც კი. ქართულ ცნობიერებაშიც, უმეტესწილად, მაგდალინელი მემავ ქალადაა მიჩნეული. დღესაც კი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ამბიონიდან ზოგიერთი მოძღვრის ქადაგებებში ხშირად მარიამ მაგდალინელი მოხსენიება მოუშ ქალად, რომელსაც მიეტევა მძიმე ცოდვები. ინტერნეტ სივრცის ქართულ საიტებზეც მაგდალინელის სახლთან მრუშება იხსენიება.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ქრისტიანული კულტურა ამ საკითხში ოდიოგანვე მაჟყვება კათოლიკე (საკოველთაო) ეკლესიის წეს-კანონებსა და ტრადიციებს, რასაც მოწმობს ქართულ ორიგინალურ და ნათარგმნ ეგზეგეტიკურ თხზულებებში, ქადაგებებსა და საგალოობლებში მარიამ მაგდალინელის სახელის ევანგელური მონათხრობის მიხედვით წარმოდგენა-განსახოვნება, რაც, კათოლიკეთა შეხედულების საპირისპიროდ, სრულიად დაცლილია ამორალობისაგან და წმ. მარიამ მაგდალინელის პიროვნება სახარების არც ერთ სხვა ქალთან არაა გაიგოგებული. ჩვენ დავიმოწმეთ წმ. იოანე ოქროპირის მათესა და იოანეს სახარებების თარგმანებები, რომლებშიც განმარტებულია, თუ ვინაა მარიამ მაგდალინელი; ასევე, წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახე, წმინდა მენელსაცხებლე დედათა შორის, სწორად ინტერპრეტირებული სახითაა წარმოჩენილი იოანე მინჩხის, კვირიკე-კურდანაის საგალობლებში, იოანე ბოლნელის, ანტონ ჭკონდიდელის ქადაგებებში; ძველი ქართული საერო მწერლობიდან წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახე გაცოცხლებულია თეიმურაზ მეორის პოემაში „გაბაასება დღისა და დამისა“.

### დამოწმებული ლიტერატურა:

ბოლნელი, 1999: ათონის მრავალთავი, იოანე ბოლნელის ქადაგებანი, გამოსაცემად მოამზადეს მ. მაისურაძემ, მ. მამულაშვილმა, ა. ლამბაშიძემ, მ. ჩხერიმაძე გ. ნინუას ხელმძღვანელობით. თბ., 1999.

გუდაბერისძე, 2007: ნიკოლოზ გუდაბერისძე, თხზულებანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთონესტან სულავამ, თბ., 2007.

წმ. იოანე ოქროპირი, 1998: წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებად  
მათეს სახარებისად, თბ., 1998.

მეტრეველი, 1980: უძველესი იადგარი, გამოსაცემად  
მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელექტ მეტრევ  
ველმა, ცაცა ჭანკიევმა და ლილი ხევსურიანმა, თბ., 1980.

მოდრეკილი, 1977: მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, გამოსცა ვაჟა  
გვახარიამ, თბ., 1977.

სულხან-საბა თრბელიანი, 1963: სულხან-საბა თრბელიანი,  
თხულებანი, III, თბ., 1963.

სირამე, 1987: რ. სირამე, ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987.

ქართული პოეზია, 1976: ქართული პოეზია, გამოსაცემად მოამ-  
ზადა ლევან შენაბდემ, თბ., 1976.

ძეგლები, 1963/1964: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტე-  
რატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ.  
ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც.  
ჯლამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით,  
თბ., 1963-1964.

წმინდანთა... 2001: წმინდანთა ცხოვრება, I, თბ., 2001.

ჭყონდიდელი, 1898: ანტონ ჭყონდიდელი, ქადაგებანი, ტფ. 1898.

ხაჩიძე, 2000: ლ. ხაჩიძე, ქართული ქრისტიანული კულტურის  
ისტორიიდან, თბ., 2000.

## **FOR THE INTERPRETATION OF THE ICON OF MARY MAGDALENE IN GEORGIAN CHRISTIAN TRADITION**

### *Summary*

Toward the personality of the saint Mary Magdalene in orthodox and catholic churches were different attitude during the long period. For example for the orthodox church she was recognized as a saint mother equal of the apostle. To define the right interpretation of the saint Mary Magdalene character we must look through the sources which are too much as in Georgian also in foreign languages.

According to the New Testament saint Mary Magdalene was recovered from the seven devils spirit (the gospel of Luke 8,2: Mark's gospel 16,9). After this saint Mary Magdalene was always with the Christ everywhere (Mark's gospel 15,40; the gospel of Luke 8,3) she was with the Christ on the way to Calvary and had seen the crucifixion (Matthew Gospel 27,56 and others). She attended even the burning of the Christ (Matthew Gospel 27,61 and others) after third days of crucifixion, on the Easter day, early morning, she came toward the Christ vault by herself with candles and fumigations (Matthew Gospel 28,1; Mark's gospel 16,1-8). She was the first who had seen the Easter, was the first who believed and announced to the apostles about the Christ Easter (Joan 20, 11-18).

According to the catholic church, she was considered as an anonymous sinful one, who washed the Christ foot by her tears in Svimeon Hypocrite's house and after nailed the oil to him (Luke 7,37-38), also she was considered as an anonymous lady who poured the oil to the head of the Christ in the Simon's house in Bethany (Matthew 26,6-7; Matthew 14,3-9) and also she was considered as an Mary the sister of Lazarus and Martha (Joan 12, 1-8). There were several legends and later to the Mary Magdalene's life was added some plots from the life of sinful Mary from Egypt (V century) which strengthen the base about the idea being Mary the prostitute.

The several ladies taking part in the process of oiling by Chrism in the New Testament (sinful lady from the gospel of Luke, Mary from Bethany from Joan) to be considered as an equal of Mary Magdalene comes from the preaching of Roman Pope in 591 year. In New testament the no mentioned sins of Mary Magdalene and Mary from Betha-

ny were explained as an prostitute. Such explanation was established also in the era of Growth and next period's paintings.

Catholic church in XX century tried to correct this mistake and after the 1969 years reforms in the calendar of Novus Ordo we did not meet the Mary Magdalene as an sinful. In spite of this, in people's imagines for centuries the tradition (Mary as an sinful prostitute) was not changed, the idea about this was strengthen by the several artificial works. In the Oxford dictionary the word "Magdalene" has the meaning of sinful. It is the very interesting point of view that the prostitute name of saint Mary Magdalene from catholic church was spreaded in orthodox church, for example in the poetry \_ M. Tsvetaeva, B. Pasternak and also within the holy writings, in Georgian conscious mainly she is considered as a prostitute lady. Even now days from the preaches of some Priests she is mentioned as a prostitute who was forgotten hard sins. In the III volume of the Life of the Saint (Tb. 2001) within the sins of Mary Magdalene the prostitute is mentioned as one of them, also in some internet resources with her name there is mentioned sin of prostitute. We are really astonished why Georgian church follow the idea about her sinful character came from the catholic church by mistake? Georgian orthodox church and Georgian Christina Culture about this items always were followed by the orthodox church doctrines, rules and tradition. Georgian original and translated exegetics writing, hymns and preaches shows the idea against the catholic church about saint Mary Magdalene character, she is not considered as an another lady from the New Testament. We confirm this from the explanations of Matthew's and Joan's Gospels in which there is given the explanation who is Mary Magdalene, also her character within the saint mothers who oiled the Christ. The character of Saint Mary Magdalene is given in several writings as: Joane Minchkh, in hymns of Kvirike Kurdanai, in preaches of Joane Bolneli and Anton Chkondideli, in the "Heaven Gate" of Sulkhan-Saba Orbeliani. The character of the saint Mary Magdalene is renewed in the poem of Teimuraz II "Speeches of day and night".